№ 24

მშაბათი, 1 თებერვალი 1894

1877—1894

№ 24

სამშაბათი, 1 თებერვალი 1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დავით და ივანე ბესარიონის ძენი ზედგენიძენი** ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ დღეს, 1 თებერვალს, დიდუბის ეკკლესიაში იქმნება გარდაცვლილი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულისა მამისა მათისა **ბესარიონ ზედგენიძის** სულის მოსახსენებლად. (1—1)

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 2 თებერვალს
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
გ. კანდელაკისა და კ. შათირიშვილისა
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ბ. ბ. ალექსიევ-მესხიევისა და ყაფიანის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
I
**და-ძმა**
ისტორ. დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი

II
**დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი**
ბ.ბ. გედევანოვის, შათირიშვილის, კანდელაკის და გუნიას მონაწილეობით.
წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 7 1/2 საათზედ.

## ტფილისი, 1 თებერვალი

ამ უკანასკნელ ხანებში ფინანსთა მართველობამ ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ გაუადვილოს გლეხ-კაცობას გაწერილ ხარჯის გადახდა. ვინ არ იცის, რამდენი უბედურება გამოიწვია ხარჯის აკრების დროს იმ სასტიკობამ, რომელსაც ეძახიან რუსეთში „выколачиваніе податей“. ამ ჟამად სცდილობენ სწორედ ეს სასტიკობა მოსპონ როგორმე. იანვრის 17 პეტერბურგს იყო პირველი კრება კომისიისა, რომელსაცა ჰქონდა სჯა ამ საგნის შესახებ.

კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა:

1) შემცირებულ იქმნას ნადელის გამოსასყიდი გარდასახადი (выкупные платежи) იქ, სადაც მამულის შემოსავალი ხარჯზედ ნაკლებია;

2) აღკრძალულ იქმნას ნარჩენ ხარჯის(«ნედოიმკას»)შესავსებლად გასყიდვა სხვილ-ფეხის საქონლისა, სამეურნეო იარაღისა, თესლისა და პურისა.

3) საშუშაოდ გასულს მუშა-კაცს ნება მიეცეს პასპორტის მიღებისა იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც იმაზედ ითვლება ნარჩენი ხარჯი და იმ «ნედოიმკის» გამო ნება არა ჰქონდეს პოლიციას პასპორტის მიცემაზედ უარი უთხრას.

ეს აზრები გამოთქმულ იქმნა კომისიის მიერ და ჯერ-ჯერობით არავინ იცის, როგორ მიიღებს უმაღლესი მთავრობა და კანონმდებელნი დაწესებულებანი.

ხოლო ამ გვარ საგნის შესახებ ლაპარაკის ჩამოგდება მთავრობისვე მიერ ამტკიცებს, რომ თვით მთავრობა დარწმუნებულა, ბევრს ადგილას მამულის შემოსავალი სახელმწიფო გარდასახადზედ ნაკლებია და ზოგიერთ ადგილში, სადაც ნაკლები არ არის ხარჯის გადახდა, მეტის მეტად უჭირდება რუსეთის გლეხ-კაცობას და იმ ზომამდე აქვეითებს მის ეკონომიურს ძალ-ღონესა და შეძლებას, რომ მისი მეურნეობა არამც თუ წარმატებაში ვერ შედის, არამედ უძლურდება, ილუპება და ბევრჯელ სულ მთლად ისპობა...

მართლა და დიდად დასაფიქრებელი და საგულისხმო ამბავია, რომ ბევრს ადგილში, სადაც-კი გლეხ-კაცი მეურნეობას მისდევს, თითოეულ დესეტინას სახელმწიფო გარდასახადი უფრო ბევრი აძევს, ვიდრე შემოსავალს იძლევა. ეს ამბავი ციფირებით რომ დამტკიცებული არ იყოს ზოგიერთ ადგილისათვის, ძნელად დასაჯერებელიც იქნებოდა. სარატოვის სამეურნეო კრებაზედ გარდასახადთა ინსპექტორმა ე. ა. განეიზერმა თავის მოხსენებაში სთქვა, რომ სარატოვის მაზრის სხვა-და-სხვა საზოგადოებაში თითოეულ დესეტინა მიწას სხვა-და-სხვა გარდასახადი აწევს 10 მან. 35 კ.-დგან—12 მანეთამდე. თუ შესაფერი შემოსავალი აქვს გლეხ-კაცს ამ ერთის დესეტინიდგან, მაშინ, რასაკვირველია, ამ დიდის ხარჯის გარდახდასაც გაუძლებს, მაგრამ, ჯერ ერთი, თითონ კომისია იხსენიებს იმისთანა ადგილებს, სადაც გარდასახადი შემოსავალზედ მეტია. მაგრამ, გინდა ესეც არ იყოს, აი რა ციფირებია გამოქვეყნებული სამეურნეო და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტის მიერ მეურნეობის მიმოხილვაში, რომელიც გაგზავნილი იყო ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზედ. რუსეთში ერთი დესეტინა იძლევა წმინდა შემოსავალს ხორბალი—22 მან. 45 კ.-დგან—38 მანეთამდე; ქერი—1 მან. 75 კ.—27 მან. 50 კაპ.; ჭვავი—85 კაპ.—14 მ. 94 კ.; შვრია—1 მან. 8 კ. 15 მან. 69 კ. ამ ციფირებისათვის, რასაკვირველია, კომენტარიები საჭირო არ არის და აშკარად ამტკიცებს რუსეთის გლეხ-კაცობის მეურნეობის იმ მდგომარეობას, რომლის დროს შემოსავალი გარდასახადსაც-კი ვერ ასვლია. რაც დააკლდება ხოლმე მამულის შემოსავალს სხვა-და-სხვა გარდასახადის შესავსებლად, ის სხვა გზით და სხვა ღონისძიებით უნდა იშოვნოს გლეხ-კაცმა. მაგრამ იქნება სხვა გვარი შემოსავალი ისე დიდი აქვს, რომ ამოდენა გარდასახადის შეტანა საძნელო საქმე არ არის მისთვის?

ამის შესახებ მეტად საინტერესო ციფირებს გვაძლევს ცნობილი ვორონეჟის სტატისტიკოსი ბ ნი სჩერბინა. პატივცემულ სტატისტიკოსს გამოუკვლევია ხარჯთ-აღრიცხვა შუათანა გლეხ-კაცის ოჯახისა, რომელშიაც 8 სულია. თითო სულზედ ამისთანა ოჯახს ეხარჯება 52 მ. 5 კ. წელიწადში ყოველ გვარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აქედგან 12 მან. 20 კაპ. თითოეულ სულზე სახელმწიფო გარდასახადსა და საიჯარადრო ფულს შეადგენს; ამ გვარად, თითქმის მეოთხედი (24%) წლიურის ხარჯისა სხვა-და-სხვა გარდასახადი არის („Р. М.“ 1894 წ. წიგნი I. შინაური მიმოხილვა).

# ფელეტონი

## თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ქუთაისში.

როგორც „ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ, ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული იყო რამდენჯერმე განცხადება ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლის თ. ს. ნ. წერეთლისა; მარშალი 20 იანვრისათვის იწვევდა თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას შესამუშავებლად და წარსადგენად უმაღლესს მთავრობის წინაშე იმ პროექტისა, რომლის ძალითაც უნდა შეცვლილიყო რამდენიმე მუხლი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წესდებისა.

აქ არ შევუდგებით ვრცლად იმის გამოკვლევას, თუ რამ გამოიწვია ასეთი საჭიროება, ან ასეთი აჩქარება, რომ ბანკის წესდების შესაცვლელად მოიწვიეს თავად-აზნაურთა კრება და ისიც საგანგებო, რადგან ერთი, რომ დრო ნებას არ გვაძლევს და მეორე, რომ ამ საჭიროებაზე ბევრჯერ და მრავალნაირად იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთებში; — ვეცდებით მხოლოდ ავნუსხოთ მოკლედ უმთავრესი მიზეზები ამ კრების მოწოდებისა.

პირველი და უმთავრესი მიზეზი ის იყო და არის, რომ ჩვენმა მოქმედებამ „ბანკის კრებაზე“, მეტადრე ამ 4—5 წლის განმავლობაში, ესე იგი, მას შემდეგ, რაც ბ-ნმა ჩიკვაიძემ ბანკის მმართველის თანამდებობა ხელთ იგდო,—მთელს ჩვენს მხარეს, მთელს თავად-აზნაურობას და მთელს ინტელიგენციას მოსცხო ჩირქი! ჩვენი უწესოება, განხეთქილება, პირადი ანგარიშები, ბანკის საქმეების უვიცობა, მისის ინტერესების დავიწყება, უპრინციპობა და გამოუკვლეველად, შეუმუშავებლად ყოველისავე საბანკო საქმის გადაწყვეტა და დაბოლოება,—იქამდის მივიდა, რომ ჩვენი საკუთარი ცნობა, პატივი დავკარგეთ და გარეშეთა დაცინვამ გლოვის ზარივით დაიზუზუნა და დღესაც ისმენს ყური იმ გულ-საკლავ ზუზუნს!..

მეორე, პირველზე არა ნაკლებ, პატივსადები მიზეზი ის იყო, რომ ბანკის საქმეები დღითი-დღე უარ-და-უარ მიდიოდა... ბანკის მოთავეთა ბანკისადმი გულ-ცივობამ, დაუდევრობამ, პირადი ანგარიშების გაყოლამ, განცხრომამ ჩვენს ქუთაისის ბანკს ზოგიერთი უფლებაც დააკარგვინა. იმ დროს, როცა ჩვენმა მოძმეებმა, ქართლ-კახეთმა, ნება-რთვა მიიღო კრედიტის გამატებისა, დიდის ვადით სესხის გაცემისა და თვით %%-ის შემცირებისა, ჩვენის ბანკის მოთავენი, მიმდევარნი ძველის ტრადიციებისა, ჩვენის ბანკისათვის ამ უფლებებათა მოპოებას არა ცდილობდნენ და მათს საჭიროებას თითქო ვერც მიმხვდარიყვნენ!!

ამ გარემოებას ის შედეგი მოჰყვა, რომ მსესხებელთა თავისი ადგილ-მამული, რომელიც ქუთაისის ბანკს ჰქონდა გირაოდ და რომლის სარგებლითაც სული ედგა, ჩვენს უმთავრესს საზოგადო საჭიროებათათვის დაარსებულ დაწესებულებათ,—დღეს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში გადაიტანეს... დაახლოებით გადატანილ იქმნა 600,000 მანათად ღირებული ადგილ-მამული; მაშასადამე, ჩვენს ბანკს, იმ ბანკს, რომლის წლიური წმინდა მოგება არ ასცილებია 23—30 ათას მანეთს,—მოაკლდა ამ ნაირად შემოსავალი 15-ი ათასი მანეთი!.. ეხლა, თუ იმასაც მივაქცევთ, ყურადღებას, რომ ამ ჟამად ქუთაისის უფროსს ნოტარიუსს წარდგენილი აქვს მრავალთა თხოვნა, მისალებად „საგირაო“ მოწმობათა, რათა კიდევ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში გადაიტანონ მსესხებელთა 400,000 მანეთად ღირებული მამულები, ცხადად დავინახავთ, რომ ჩვენი ბანკი... თვისის მზრუნველების წყალობით სულთ-მობრძავს უფრო ჰგავს, ვიდრე ჯან-საღსა და ჯანმრთელს დაწესებულებას.

მესამე მიზეზი ის გახლავთ, რომ დღეს ჩვენ არ ვიცით, ვინ განაგებს ჩვენის უბედურის ბანკის საქმეს, ვინ ამოწმებს მისს ავ-კარგიანობას, ვინ ირჩევს საქმის მეთაურთ, ვის შესტკივა გული ბანკისათვის და ვინ სცდილობს მისს სიკეთეს?

იმ ათასზე მეტ კაცში, რომელიც მოდის ბანკის საქმეთა გასარჩევად, დიდი საქმეა, თუ 40—50 კაცი იცანი, გაიგე მათი ვინაობა და უფლება! სხვა ვინ არის—ღმერთმა უწყის! ისეც ღმერთმა უწყის—აქვს კენჭი, უფლება და ან რაიმე მონაწილეობა ბანკში, თუ არა!? მაგრამ, არც გასაკვირველია, რომ ბევრი ვერ იცნო და ვერ გაიგო, თუ ვინ არის, რადგან ბევრი მათშორის საიქიოდან არის წარმოგზავნილი! დიაღ! ნუ გაგიკვირდებათ, რადგან ბევრჯელ მომხდარა, რომ რწმუნების ქაღალდთა შორის აღმოჩნდა, მოცემული იყო იმ ნეტარ-ხსენებულისაგან, რომელიც უკვე კარგა ხანია განისვენებს წიაღსა შინა აბრაამისასა!.. მაშ თუ იქიდან წამოსული არა, აქ მცხოვრები როგორ და რა გზით მიიღებდა საიქიოდან რწმუნებას?..

აი, სწორედ ამ მიზეზით, რო საიქიოდან მოსულნი ესწრებიან ჩვენს კრებას, რომელთაც ეჩქარებათ ამ ქვეყნიდან მსწრაფლ უკუ-ქცევა, აიხსნება ის, რომ ჩვენი საბანკო კრება, გაგებულთა და ჭეშმარიტ გულ-შემატკივართა წინაალმდეგ, სჩქარობს და უნდა ერთს წამს გადასწყვიტოს და დააბოლოვოს ყოველი საქმე ბანკისა, სულ ერთია ადვილი გადასაწყვეტია, თუ ძნელი. ესევე მიზეზი, რომ ჰყვირიან ხოლმე: „რათ გვინდა სხვა კითხვები!.. რას დავეძებ ბანკს, მისს ანგარიშს!.. მე ანგარიში არ ვიცი! ვიხოცებით შიმშილით!.. მალე კენჭი!.. უპრავლეიაუჩი უნდა ავირჩიოთ!.. კენჭი!.. იაშიკი!.. და სხვა“.

ერთის სიტყვით, ბანკის საქმეთა გამოკვლევამ და იმ სურვილმა, რომ

ეს მეტის-მეტი შეუსაბამობაა შემოსავალსა და გარდასახადს შორის. ვერა სიმდიდრე რუსეთის გლეხ-კაცობისა ვერ გაუძლებს და ვერც აიტანს ამოდენა გარდასახადს. ამოდენა გარდასახადის გასაძღოლად, რასაკვირველია, სრულიად არა ჰყოფნის თავისი შემოსავალი და ამიტომ, როგორც დამტკიცებულ იქმნა, ჯერ ცნობილ ეკონომისტის Никалай Онъ-ის მიერ და მერე-კი—ვერნერისაგან, გლეხ-კაცი მუცელსაც რიგიანად ვერ იძღებს.

ამისთანა მდგომარეობაში ძნელია ხარჯის გარდახდის გაადვილება, მის სიმწვავის შემსუბუქება. უმთავრესი წყარო ამ გარდასახადისა—გლეხ-კაცის მეურნეობა ისე გათახსირებულია, იმდენი ძნელად თავიდგან ასაცილებელი წვრილმანი გაჭირვება აწევს ყოველ გლეხის ოჯახს, რომ ამისთანა გაადვილებით ვერაფერი ეშველება ხალხს; ვერც შეიტყობენ, მართლა გაუადვილდათ თუ არა, მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, ბევრჯელ კანონ მდებლის გულითადი სურვილიც ძნელად ასასრულებელია ცხოვრებაში. როდესაც ბძანება არის, უეჭველად უნდა გადაახდევინოთო, მაშინ ხშირად განკარგულებათა აღსრულებაში მომყვანნი რწმუნდებიან, რომ შეუძლებლობისა და სიღატაკის გამო, მარტო სასტიკის ღონისძიების მიღებით, შეიძლება მხოლოდ ცოტაოდენის გარდასახადის გამორთმევა. ყოველივე სურვილი და გულითადი წადილი კანონ-მდებლისა, რომ გლეხ-კაცობას გამოერთვას მარტო ის, რაც მომეტებული აქვს, სულ ამაო ლაპარაკად ჩაივლის, რადგანაც, სადაც მომეტებული არა არის-რა, სადაც სამუდამოდ შევიწროებულია კაცი ჭამა-სმაშიაც-კი, იქიდგან ვერავინ ვერაფერს აიღებს. ხარჯის მომკრეფს-კი დიდი უსიამოვნება მოელის, თუ თავის დროზედ ხაზინაში არ წარადგინა გაწერილი ხარჯი...

ნიკ. კავკასიძე

# ახალი ამბავი

⁂ კვირას, 30 იანვარს, წლიური კრება იყო ტფილისის პირველ და მეორე გილდის ვაჭრებისა. კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ სავაჭრო გამგეობის მოურავად ე. ა. დავიდოვი და იმის ამხანაგებად—კ, მ. ალიხანოვი და ე. მ. აკოფოვი, საგუბერნიო ხარჯის საკრებულოს წევრებად ვაჭრების მხრივ—ორი წევრი: ი. მ. წიფლანოვი და ა. თ. ფრიდონოვი და ორიც მათ კანდიდატად: ს. ა. ფონდოევი და ი. დ. როტინოვი; ტფილისის საქალაქო ხარჯის საკრებულოს წევრებად სამნი—ა. პ. ტერ-აკოფოვი, ი. ს. თუმანიანცი და ე. მ. აკოფოვი და ამათ კანდიდატებად: რ. ე. მარტირუზოვი, ი. ს. კეპინოვი და დ. ი. ფორაქოვი.

⁂ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ შაბათს, 29 იანვარს, მომავალ ქართულ დედათა სასწავლებლისათვის დანიშნულ ფონდის სასარგებლოდ გამართულმა წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა. წარმოდგენილ იქმნა რუსულ ენაზედ ოპერა ტომისა „მინიონი“ ქ-ნ პაპაიანის მონაწილეობით. ქ-ნს პაპაიანს და აგრეთვე სხვა ოპერაში მომღერალ არტისტ-ქალებსაც ყვავილის კალათები მიართვეს. მთელი საზაფხულო თეატრი სავსე იყო ხალხით. უმეტესობას ქართველობა შეადგენდა.

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალ ბაიაზეთიდამ ბ-ნ ან. გომელაურის მიერ შეგროვებული 20 მან. აქედამ 10 მან. სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ 10 მან. რუსთაველის ძეგლის ასაგებად. რუსთაველის ფონდისა გვქონდა 829 მან. 82 კაპ. შესდგა 839 მნ. 82 კაპ. სალიტერატურო ფონდისა იყო 436 მან. 19 კაპ. შესდგა 446 მან. 19 კაპ.

ამას გარდა მივიღე რუსთაველის ფონდისათვის 1 მან. ბ-ნ მიხეილ ნიკოლოოზის ძის ჩიკვაიძისაგან. შესდგა სულ 840 მან. 82 კაპ.

⁂ სოფ. ქარელი, (გორის მაზრა): ამ თვის 28 დაუდევრობისა გამო გარდაიცვალა, აქაური გლეხი გიგა კავსაძე. საქმე ასე მოხდა: გ. კავსაძე ამ თვის 26 წავიდა თავის სიძესთან სოფ. სალოლაშენში, იქ არაყით ძლიერ დეეთროთ და ისე გამოესტუმრებინათ; გზაზე სიმთვრალისა გამო ვერა გეეგორა და წისქვილის რუში ჩავარდნილიყო. მთლად დასველებული, შინ ძლივძლიაობით მოვიდა. ყინვისაგან გზაში ფეხები მთლად დასძროდა, გაუჩნდა ფილტვის ანთება და ყელ-ჭირება; საბრალომ მესამე დღემდე ძლივსღა შეუძლო.

ამ თვის 28-29 ღამე დიდი თოვლი დასდო, წრეულ ამოდენა თოვლს პირველად შევესწარით. თუმცა ამ თვის ოცამდე დიდი ყინვები იყო, ახლა-კი ძრიელ ჩამოთბა.

⁂ სოფ. პავლეური (დუშ. მაზრა): იანვრის 11-ს მოხდა აქ ერთი სამწუხარო ამბვი: აქაური მცხოვრებნი ქიტესა ფოცხვერაშვილი და საბა პეტრიაშვილი საქონელს აძოვებდნენ ტყეში; გამწარებული დათვი შეხვდათ და ორივე სასიკვდილოდ დაჰგლიჯა.

⁂ იქიდგანვე: სოფ. ანანურსა და ფასანაურს შუა მგლის ხროვაა მრავალი. ამ ერთ კვირაში იმსხვერპლეს ორი კაცი, ერთი მთიული-გუდამაყრელი და მეორე ხევსური, რომლებისაც თითები და ფეხები-ღა იპოვნეს.

⁂ სუფსა (ოზურგეთის მაზრა): ცუდმა ამინდებმა და ტალახებმა ილაჯი წაიღო: ძრიელ გაფუჭდა გზები სუფსიდგან ქ. ფოთამდე ეტლებით მიმოსვლა თითქმის შეუძლებელია და ჯერ-კი ყურადღებას მოკლებულია ეს გარემოება, ვისგანაც ჯერ არს; ამ ცუდს ამინდებს მოჰყვა სხვა და სხვა ავადმყოფობა: ყელჭირვება და ინფულენცა, თუმცა სხვაფრივ მშვიდობიანობა სუფევს.

აქ გარდაიცვალა 31-სა ქრისტეს შობისთვეს ერთი ღრმად მოხუცებული გლეხი დავით გუმბარიძე, რომელიც ამ ოთხის წლის წინად დასახლდა აქ. მის წლოვანებს 125 წელს ამბობენ აქაურნი დროულნი.

# დამაკვირდი

კერპობა ნიშანია ჭკუა-ნაკლებობისა და უმეცრებისა.

ლაროშფუკო

**

უფრო ქებულს ჰაქებთ ხოლმე, ვიდრე ქების ღირსს.

ლაბრუიერი

**

ვინც უმიზეზოდ შეგიყვარებს, იგი ადვილად და უმიზეზოდვე შეგიძულებს.

პენინი

## ნაწყვეტები

რად მინდა მკვდარსა-მოხუცსა
ოქრო და ვერცხლში ტრიალი,
ვერ გაანედლებს გამხმარ ვარდს
ანკარა წყაროს ჩხრიალი;
მაშინ მინდოდა ქონება—
სისაწყლით მკვდარსა-ტიალი,
როს სიჭაბუკე მიდუღდა,
გაჰქონდა იალ-ციალი.

—

ნეტა ვიცოდე, ვინ გიყვარს,
ცისკარო ლურჯო ცისაო,
ნეტა იცოდე, ვინ მიყვარს,
ლალანა ვარდო მთისაო,
ნეტავი ჩემი გაგხადა,
ყვავილო ედემისაო,
და თუნდა მომკლა მაშინვე,
მსგავსო მთავრის და მზისაო!

—

მე თუ ვერ მივწვდი სისაწყლით
ბედშავი გულის ნებასა,
არც შენ შეგარჩენს, მდიდარო,
საწუთრო ფუფუნებასა:
თავს დაგადგება სიკვდილი,
დაგიფრთხობს მოსვენებასა,
ცხვირიდამ გადენს გულქვასა
ოქროსა თაყვანებასა.

## წერილი ქუთაისიდამ

წლიური აქტი საქართველოს მეფის, წმიდა დავით აღმაშენებელის სახელობაზე დაარსებულ ძმობისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის დასახმარებლად.

ოთხშაბათს, 26 იანვარს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა იდღესასწაულა ხსენება საქართველოს, მეფის წმიდა დავით აღმაშენებელისა. ეს დღესასწაული იყო განსაკუთრებით დღესასწაული ხსენებულ სასწავლებლისათვის; ამ დღეს სხვა სასწავლებლებში არ უქმობენ. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ ამ მეფის სახელობაზე ხსენებულ სასწავლებელში ორი წელიწადია, რაც არსებობს ძმობა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. დღესასწაული წესისამებრ იყო გარდახდილი. წირვა პარაკლისითურთ აღასრულა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა ექვს თანამწირველ დეკანოზმღვდლებითურთ სასწავლებლის ეკკლესიაში. პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელო, მთელი სამღვდელოება და სხვა, მოწვეულნი იქმნენ აქტზე დასასწრებლად; სტუმარნი მიბრძანდნენ სასწავლებელში, სადაც საქტო დარბაზად იყო მორთული ერთი საკლასო ოთახთაგანი. დარბაზში შესვლისათანავე სასწავლებლის რუსულ მგალობელთა გუნდმა იგალობა: „დღეს მადლმან სულისა წმიდისამან შეგკვრიბნა ჩვენ“. შემდეგ ვრცელი ანგარიში ძმობისა წაიკითხა ძმობის რჩევის თავმჯდომარემ, სასწავლებლის ზედამხედველმა ა. ი—მა. დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახები წერილი წაიკითხა წიგნიდგან მეოთხე კლასის მოწაფემ კ. ფ—მა. შემდეგ სასწავლებლისავე რუსულ და ქართულ მგალობელთა გუნდმა იგალობეს ათი სხვა-და-სხვა სიმღერა-საგალობლები, ხოლო მოწაფეებმა წაიკითხეს ექვსი ლექსი. საზოგადოდ გალობა და ლექსების კითხვა კარგი იყო; განსაკუთრებით-კი ძრიელ მოეწონა საზოგადოებას „ალსდეგ, გმირთ-გმირო“, „აბლაული შეიკაზმა“ და „ერეკლე ღმერთმა გვიცოცხლოს“, რომლებიც მშვენიერად სთქვეს სიმღერითა ლექსებში გრძნობით და გარკვევით წაიკითხეს: „გელათი“, „რა არის ჩვენი სიცოცხლე“ ქართულად, სიმღერა გლახისა“ და „ნეტარ არს იგი“—რუსულად.—აქტის შემდეგ წევრთ ხელის მოწერით საწევრო ფული შეიტანეს. ამავე დღეს შეუვიდა ძმობას ოცთუმნა-

---

ამ დაქვეითებულ საქმეს როგორმე მივშველებოდით, გვაიძულა გულითა და სულით მოგვენდომნა, საზოგადო კრების მაგიერად, იყოს ხოლმე კრება წარმომადგენელთა, რომელთაც გულდასმით აქვთ შეგნებული ბანკის ვითარება, მისი ძალ-ღონე და შეუძლიანთ მოფიქრებით გადასწყვიტონ ყოველივე მისი საქმე!.. ამ 8—9 წლის წინად ჩვენმა აკაკიმ წარუდგინა ეს წინადადება კრებას და ამტკიცებდა წარმომადგენელთა არჩევის საჭიროებას, მაგრამ განსვენებულმა თ. მამია გურიელმა წინააღმდეგობა გაუწია და უთხრა, საერო კრება რომ არ გვქონდეს, უნდა ვეცადოთ გვექნეს და როცა გვაქვს-რად უნდა დავკარგოთო და საზოგადოებაც მისს აზრს დაეთანხმა.. მაგრამ განსვენებულ მამიას, რომ ჩვენი ეხლანდელი კრებანი ენახა არამც თუ ამას იტყოდა, არამედ, მგონია, თუ ნებას მისცემდა ვინმე, ყოველ უფლებანი ჩამოერთმია ეხლანდელ კრებისათვის... თორემ კარგად გვესმის, თუ სხვა დროს რა ძვირფასია საერო კრება, რა დიდია მისი მნიშვნელობა!..

1890 წელს ამგვარისავე წინადადებით მიიქცა კრების მიმართ თ. კირილე ლორთქიფანიძე, კრება თითქმის დასთანხმდა, მაგრამ ამ დროს სცენაზე გამოვიდნენ ორატორნი, რომელთაც კრებას ამცნეს, რომ „ამგვარი დებულება კრების უფლებათა შეკვეცა და შეზღუდვა იქნებაო“. რჩევა კ. ბ. ლორთქიფანიძისა არ იქმნა მეწყნარებული...

შარშან, 1893 წ., კიდევ იმავე ბ-ნმა კირილემ განუმეორა კრებას ასეთივე რჩევა და კრებამ მაშინ-კი შეიწყნარა მისი აზრი; დაავალა გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს, შეემუშავებინათ ვრცლად პროექტი ამ საგნის შესახებ და წარედგინათ, სადაც ჯერ არს:, მაგრამ ეს გარდაწყვეტილება გამგეობისა და კომიტეტის ქაღალდებს არ გასცილებია ჯერაც, რადგან მათთვის ამგვარი ცვლილება არაფრად სასიამოვნოა...

თავმჯდომარემ ზედამხედველ კამიტეტისამ თ. წულუკიძემ, როგორც მოგეხსენებათ, დანიშნა საგანგებო კრება... ათ ქრისტეშობისთვის. ამაზედ იმათ ვისაც ეს ვადა ცოტა არ იყოს არ ეჭაშნიკათ, საჩივარი გაუგზავნეს ბ-ნ ფინანსთა მინისტრს. მინისტრმაც უკანონოდ სცნო ეს განკარგულება თ. წულუკიძესი... მაგრამ, იმ ქაღალდში, რომელიც ამ საგნის შესახებ ბ-ნს გუბერნატორს გამოუგზავნა მინისტრმა, სწერია სხვათა შორის, რომ მე საჭიროდ ვრაცხ ქუთაისის ბანკის საზოგადო კრება გაუქმებულ იქმნას და მის მაგიერ დაწესდეს კრება წარმომადგენელთა, რომელნიც ყოველმა მაზრამ უნდა აირჩიოს და გზავნოს ბანკის საქმეთა გარდასაწყვეტად და განსაგებლადაო.

აი, ამ მიზეზების გამო და სხვა მრავალ გარემოებათა მიხედვით, აგრედვე ბ-ნ მინისტრის ბრძანების მსგავს წინადადების გამო გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. წერეთელი იძულებულ იქმნა ამ საგნის საფუძვლიანად გარდასაწყვეტად მოეწვია თავად-აზნაურთა კრება, რომელიც უკვე იყო 20 იანვარს.

კრება დაიწყო 12 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. კრებას დაესწრნენ: 48 ისეთი წევრი, რომელთაც კანონით უფლება აქვთ ყოველივე სათავად-აზნაურო არჩევანისა და საქმის გარდაწყვეტისა და სხვა დიდ-ძალი სხვა წოდებათა წარმომადგენელი.

თ. ს. წერეთელი. (ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლი). ბ-ნო, აუცილებელმა საჭიროებამ, ჩვენმა საერთო საქმის უკულმა სიარულმა მაიძულა შემეწუხებინეთ და მომეწოდებინეთ დღეისათვის... კარგად მოგეხსენებათ, რომ გარდა იმ უწესოებისა, შფოთისა და გახეთქილებისამ, რომელიც ჩვენს საბანკო კრებაზედ იჩენს თავს ხოლმე და რომელმაც მიიქცია, არამც თუ ჩვენი, ყურადღება, არამედ გარეშეთაცა, თვით ბანკი ძალიან ცუდს მდგომარეობაშია: უმთავრესი წყარო მისის არსებობისა ქალაქის მამულები—ნახევარზე მეტი ტფილისის ბანკში გადაიტანეს და, რაც დარჩა—ისიც ამ ცოტა ხანში, როგორც უფროსის ნოტარიუსის საქმეებიდანა სჩანს, გადატანილ იქნება იმავე ბანკში!.. ასე რომ, ძალიან დიდი, ჩვენმა ბანკმა გასძლოს ნახევარი, ანუ ერთი წელიწადი კიდევ და მაშინ-კი უთუოდ სულს დალევს. გაგვიუქმდება სკოლა, მოგვესპობა სალსარი ჩვენს საზოგადო და უმთავრეს საქმეთა გაძღოლისა და დავრჩებთი სულ ხელ-ცარიელი, დიდად დაზარალებული.

ამგვარმა გარემოებამ გვაიძულა რაიმე გვეფიქრნა... ბევრჯელ ურჩიეს ბანკის კრებას, რომ ეხლანდელი საერთო კრების მაგიერ დაგვეარსებინა კრება წარმომადგენელთა, მაგრამ შარშანდლამდე ამ წინადადებამ ფეხი ვერ მოიკიდა; შარშან მიიღო კრებამ და დაავალა გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს ამ პროექტის შემუშავება, მაგრამ იმათ ჯერ ხელი არც-კი მიუყვიათ ამ საქმისათვის... ბოლოს დროს ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა იმ ქაღალდით, რომელმაც კრება, დანიშნული 10 ქრისტეშობისათვის, საჩივრისა გამო, უკანონოდ სცნა, წინადადება მოგვცა, დაგვეარსებინა წარმომადგენელთა კრება, რადგან ამას მოითხოვს ბანკის ინტერესიო; თუ ასე არ მოვიქეცით, არავითარი ჩვენი შუამდგომლობა წინაშე სამინისტროსი, როგორცა სჩანს, შეწყნარებულ არ იქნება... ეხლა გთხოვთ ქთვენი აზრი წარმოსთქვათ, ამ საქმის შესახებ: გნებავთ, თუ არა პროექტი ამისთანა ცვლილებისა წარუდგინოთ სამინისტროს და ვსთხოვოთ ეხლანდელი საერთო კრების მაგიერ წარმომადგენელნი ამოვირჩიოთ და ისინი დაესწრნენ ხოლმე საბანკო კრებას?

(დასასრული იქნება)

მდე; აქედამ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, ეპისკოპოსმა გაბრიელმა შესწირა ათი თუმანი. სააქტო დარბაზიდგან მისი მეუფება სამღვდელოებით და სხვა სტუმრებითურთ მიწვეულ იყვნენ ახლად გამართულ წიგნთ-საცავ და სამკითხველოს პატარა სუფთად და კოხტად მორთულ ოთახის დასათვალიერებლად. ეს წიგნთ-საცავი და სამკითხველო გაუმართავს სასწავლებლის შენობაშივე და ისე ლამაზად მოურთავს წიგნებით და სხვა საჭირო ნივთებით თავის ხარჯით ძმობის საპატიო წევრს მ. ი. შნეიდერს, რომ დიდი მადლობის ღირსია სასწავლებლის, მთავრობის და ყველა მოწაფეების მხრით. ბ-ნი შნეიდერი არ იშურებს არავითარ ღონისძიებას და შემწეობას სასწავლებლის განსაკარგებლად. ბოლოს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და სხვა წევრნი ძმობისა მიწვეული იყვნენ საუზმეზედ.

წლიურ ანგარიშიდგან სჩანდა, რომ საანგარიშო 1893 წ. ძმობას ჰქონია სულ 1649 მან. და 81 კ., აქედგან 1892 წ. ნარჩენი ყოფილა 602 მან. და 4 კ. საანგარიშო წელში ძმობის რჩევას დაუხარჯავს სულ 864 მან. და 63 კ. ორი წილი მიუცია ძმობის რჩევას ღარიბ მოწაფეთათვის თვიურ ხარჯად, ერთი წილი დაუხარჯავს მაუდისა და პარუსინის სასყიდლად ღარიბ მოწაფეთა საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსისათვის შეკერვიანად, სარეცხსა და ფეხსაცმელში. საანგარიშო წელს ძმობას შეუმოსავს ას-ორმოც-და-ათამდე მოწაფე. ხსენებულ 364 მან. 63 კაპეიკიდგანვე ძმობას მიუცია 135 მან. ოთხ ღარიბ მოწაფისათვის, რომელნიც სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ, გადასულან ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

აქტს დაესწრნენ თითქმის მთელი ქუთაისის სამღვდელოება და რამდენიმე გარეშენიც, თუმცა მოპატიჟებულნი გაცილებით მეტი ყოფილიყვნენ, მაგრამ, ალბად სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, როგორც ხშირად ვიცით არ მობრძანდნენ.—სასურველია, რომ ასე გულ-გრილად არ ეპყრობოდნენ ამ ფრიად კეთილს და გონივრულ დაწესებულებას. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი არის ერთი შეგირდებით ფრიად რიცხვმრავალი სასულიერო სასწავლებელი მთელს საქართველში. აქ ამ ჟამად ირიცხება 612 მოწაფე. არა მგონია, რომ სხვა რომელსამე სასწავლებელში, შედარებით, ამდენი ღარიბი მოწაფე იყოს, რომელნიც თვისის უკიდურეს მდგომარეობის გამო იძულებულნი არიან ხოლმე, თავი დაანებონ სწავლას, ან და ითმინონ დიდი გაჭირვება, რასაც არა სასურველი შედეგი მოსდევს მათის ჯანმრთელობისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწ მაინც შეუწყობენ ხელს ამ საქმეს, ვისაც რა შეუძლია, ხოლო შეძლებით, მრავალი შეიძლებს, თუ-კი მოინდომა.

მერაბიძე

## რუსეთი

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი საყოველთაო ბრძანება გაჰგზავნა თავად-აზნაურთა კრების მიერ სხვა-და-სხვა თანამდებობაზედ ამორჩეულ კაცთა დამტკიცების წესის შესახებ: ჰეროლდიის დეპარტამენტში წარმოებულ საქმეთაგან ხშირადა სჩანს, რომ თავად-აზნაურობა თანამდებობაზედ ირჩევს, და მტკიცდება კიდეც ეს არჩევანი არა თუ ისეთს კაცებს, რომელნიც დაწესებულის წესით არ არიან აღიარებულნი თავად-აზნაურად, არამედ ისეთებისასა, რომელნიც სამჯერ სამის წლისა და მეოთხედ ამორჩევის შემდეგ, მაგალითებრ, თავად-აზნაურობის წინამძღოლისა, ან დეპუტატის თანამდებობაზედ, შეამდგომლობენ თავადისა ანუ აზნაურის წოდებაში დაგვამტკიცეთ, რადგან ამ სამსახურში წმ. ვლადიმირის ორდენი გვაქვს მიღებულიო. რადგან ამა თანამდებობაზედ ვისიმე დამტკიცება შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებასა აქვს ჩაბარებული, უმართებულესმა სენატმა მე მომანდო ჯეროვან ღონისძიებათა ხმარება, რათა ამიერიდგან ზემოხსენიბული უკანონო არჩევანი და დამტკიცება ამა არჩევანისა არღა განმეორდეს. ამის გამო სახეშია მიღებული ისიც, რომ თავად-აზნაურთა კრებაში კენჭისა და მონაწილეობის უფლება მხოლოდ მკვიდრ, შთამომავლობით თავადთა და აზნაურთა აქვსთ, თუ ამასთან აკმაყოფილებენ 1876 წ. გამოცემულ კანონთა კრებულის IX ტ. მე-96 მუხ. მოთხოვნილებათ და რომ თავად-აზნაურთა კრებაში მონაწილეობის მიღებისა და არჩევანის უფლების განსაზღვრა და განხილვა სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოთა აქვთ მინდობილი, ვსთხოვ ამა საკრებულოთ არაფრით დაარღვიონ ზემოხსენებული წესი და ყოველთვის სახეში იქონიონ კანონი თავად-აზნაურთა ნუსხის შედგენის დროს.

—

ქალაქ ვორონეჟის მკვიდრნი ძალიან აღელვა ერთმა ბოროტ-მოქმედებამ. 19 იანვარს დილით გაისმა ხმა, რომ ხუთი კაცი მოუკლავთ ავაზაკებსაო. დიდძალი ხალხი აწყდება ველდენის ქუჩაზედ ერთს პაწია სახლს, მაგრამ ვინც-კი შიგნით შეიხედავს მაშინვე უკან გამობრუნდება დიდად შეძრწუნებული. სისხლით მოსვრილ პაწია ოთახის იატაკზედ ოთხის დედაკაცის გვამი დევს, თავებ დასხეთქილები. თითქმის კარის დირესთანვე გდია გვამი 55 წლის მოხუცის დედაკაცისა, რომელსაც, როგორც ეტყობა კარები გაუღია მკვლელისათვის. ეს სახლი ქ-ნ პეტროვისას ეკუთვნის და შეუბრალებელს მკვლელებს ამოუჟლეტიათ ყველა ამ სახლის მდგმურნი: ვ. ნ. პეტროვისა, დ. ა. სავონოვისა, თ. ა. ოსტანკოვისა, პ. მ. პოპოვისა და მოხუცი დარაჯი სახლისა. დამნაშავენი დაპატიმრებულ იქმნენ, შვიდ-რვა კაცამდე, ამ საქმის გამო დაჭერილი. ამ ავაზაკთა ბრბოს მეთაური კატორგიდგან გამოქცეული დამნაშავე ჩერნიკოვი ყოფილა. ამ დაჭერილთ აღმოაჩნდათ 4,460 მანეთი ფული და მრავალი ძვირფასი ოქროსი და ვერცხლის ნავთეულობა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** „Pall Mall Gazette“-ს ამბავმა, რომ გლადსტონი სამსახურს თავს ანებებსო, რასაკვირველია, ინგლისში დიდი გავლენა იქონია. ბიარნიცში, სადაც ამ ჟამად გლადსტონი იმყოფება, დიდძალი დეპეშა გაიგზავნა, სხვათა გარდა, თვით გლადსტონის ამხანახების მინისტრებისაგანაც-კი. გლადსტონის ამხანაგებმა განაცხადეს, ჩვენ არა ვიცით-რა და არც გაგვიგია, ვითომ გლადსტონი თავს ანებებდეს სამსახურსაო. ესევე გამოაცხადა ნაციონალ-ლიბერალთა ფედერაციის თავმჯდომარემ. ბოლოს ლონდონში დეპეშა მოვიდა სერ ალჯერონ უესტისა, რომელიც გლადსტონს ბიარნიცში გაჰყვა და რომლის დეპეშაც უეჭველია თვით გლადსტონის შემწეობით იქნება დაწერილი. აი შინაარსი ამ დეპეშისა: „ის ამბავი, რომ ვითომ გლადსტონმა გადასწყვიტა თავის თანამდებობას თავი დაანებოსო, მართალი არ არის. მართალია, რომ უკვე რამდენიმე თვეა მდგომარეობა მისის ყურისა და თვალის სინათლისა, გლადსტონისავე აზრით, სასურველადა ჰხადის დასვენებას საზოგადო ზრუნვისაგან და შეიძლებოდა ამ მიზეზისა გამო მისი სამსახური ყოველ წუთს შეჩერებულიყო. ასეთსავე ვითარებაშია საქმე ამ ჟამადაც: გლადსტონმა არ უწყის, როგორ წავა ინგლისის ერისათვის ფრიად შესანიშნავნი საქმენი ამ სესიის რამდენსამე კრებაზედაც-კი და არც არა ულაპარაკნია, არა ჩაუდენია-რა ისეთი, რომ იმისს ნალაპარაკევსა და საქციელს შეეძლო შეეზღუდა მისი და მისთა ამხანაგთა სრული თავისუფლება ყოველსავე იმ საქმეში, რაც შეეხება მათდა დაკისრებულ მძიმე მოვალეობად“. ამ დეპეშამ ცოტა დააშოშმინა ხალხი, თუმცა მითქმა-მოთქმა გლადსტონის თანამდებობიდგან გადადგომის შესახებ ჯერაც არ შეწყვეტილა.

—

**საფრანგეთი.** პანამის საქმე ჯერ კიდევ არ ასვენებს საფრანგეთს. გერცმა გამოაცხადა, რაღაც საბუთის ქაღალდები მაქვს ზოგიერთ აწინდელ წარჩინებულთა შესახებ და მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთები ამბობენ, რომ გერცის „ქაღალდის ყუმბარა“ უფრო ბევრს ინაცვალებს, ვიდრე ვალიანის ყუმბარამ ინაცვალაო. აი რასა სწერს ამისავე შესახებ ცნობილი როშფორი თავისს „Intransigeant“-ში. „პირველში, პანამის აურზაურის ატეხის დროს, შიშისა გამო კორნელი გერცმა თავისი საბუთის ქაღალდები ჩიკაგოში გაჰგზავნა. აი, ეს საბუთის ქაღალდები გერცს ამ რამდენისამე დღის წინად უკანვე დაუბრუნდა და ყოველი ღონეცა აქვს ნახმარი, რომ არ დაეკარგოს და ხელიდგან არავინ გამოაცალოს. ამას გარდა, გერცს სამს ნაწილად აქვს წერილები დაწერილი. პირველი ნაწილი უკვე დაბეჭდილია და შიგ მოთავსებულია მიწერ-მოწერა გერცისა მინისტრებსა, სენატორებსა და დეპუტატებთან. ჩვენ შემთხვევა გვქონდა და ვნახეთ შემდეგი დეპეშა, გერცის სახელობაზედ მიწერილი. „მოელაპარაკე ჟოზეფ რეინაკს, სამართალში არ იქნებით მიცემულნი, თუ შეაყენებთ «Intransigeant»-ში დაპირებულ წერილების ბეჭდვას“. ეს წერილები დიდად უტეხს სახელს, სხვათა შორის, ერთს დეპუტატს, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტად იყო და ეხლაც წარჩინებული ალაგი უჭირავს პალატაში. ამ კაცს პატიოსანის სახელი აქვს მოპოვებული და არც თითონ აუღია ქრთამი, სცდილა მხოლოდ გადაარჩინას თავისის ამხანაგებისას და უთხოვნია გერცისათვის, შეიბრალე, ნუ დაჰღუპავო. ეხლა რა-კი აშკარაა, რომ რეინაკის საქმე სასამართლოში არ იქმნება შეჩერებული, ეჭვია რ არის, გერციც დაჰბეჭდავს თავისს საბუთის ქაღალდებს.

## საბიბლიოგრაფიო წერილი

ჩვენი სახალხო საექიმო წიგნები.

1. „სიმრთელის კიდობანი“ ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი. შედგენილი და გამოცემული ილ. ვას—ძის სულაქველიძის მიერ. ფოთი 1891 წ. ფასი 1 მან.

2. კარაბადინი, სახალხო საექიმო წიგნი. შედგენილი დეკანოზის დავით ღამბაშიძის მიერ. გამოცემა მეორე დამატებით ქუთაისის 1893 წ. ფასი 1 მ. 20 კ.,

3. საექიმო ცნობები ვ. გუნიას „საქრთველოს კალენდარში“ 1894 წ.

(შემდეგი*)

სია 1. წამლების სიაში ავტორი ამბობს, სოდა რომ ერთის ჩაის კოვზი მიიღო, გაგაფაღარათებსო და, თუ ერთი სტოლის კოვზი მიიღეთ, გულის რუჯვას და ბოყინს მოუხდებაო. ჯერ ისა, რომ სოდა საიმედო საფაღარათო წამალი სრულებით არ არის და მეორეც ესა, სრულებით საკმაოა ერთის ჩაის კოვზის მიღება ჯერზედ, როცა კაცს გულის წვა აქვს, ერთბაშად-კი იმოდენა ხაშურის (щелочь) ჩაყრა მუცელში მავნებელიც არის.

სია 3, წამალს ისე ვერ მოამზადებთ, როგორც „კიდობნის“ ავტორი გირჩევთ.—თუ ყველა ნივთიერება წინადვე გამტკიცული არ აიღე, ფაიფურის როდინში, მეტადრე რევანდს, ვერ დაჰნაყამთ და ვერ შეჰქმნით წესიერ მტვერს (порашокъ).

მე-4 სიაში ავტორს ტყვიის წყალი აქვს მოყვანილი და მე-87 გვერდზე თვალებზედ საღებად ურჩევს. ჩვენს დროში ძნელად შეხვდებით იმნაირ სწავლულ ექიმს, რომ ტყვიის წყალი თვალზედ საღებად გირჩიოთ, რადგან ტყვია ილექბა ხოლმე თვალის კაკალზედ და ეს გარემოება მავნებლად მიაჩნიათ. უწინ, მართალია, ხმარობდნენ.

სია 5, ქარასოკოს მალამო, არ ვიცით, ავტორმა რომელ ფარმაკოპიიდგან ამოსწერა?! სია 7, „Спермацетная мазь“ მაგრე-კი არ კეთდება, უნდა აიღოს, ერთი დრახმა თაფლის სანთელი თეთრი, ერთი დრახმაც სპერმაცეტი და ხუთი დრახმა ზეითუნის ზეთი პროვანსისა სამივე ერთად მოათავსე სუფთა ტაფაში და ნელ ცეცხლზე როცა გადნეს, ფაიფურის როდინში ჩაასხი და თან ურიე და თან რამდენიმე წვეთი ან უბრალო ან ვარდის წყალი მიუმატე. ამასთანავე საიდგან მოაჭიარა ბ-ნმა „კიდობნის“ ავტორმა, რომ სპერმაცეტი ვეშაპის ქონი იყოს?

№ 10 სიაში ავტორი ურჩევს: „ორი სტოლის კოვზი საფაღარათო ზეთი დალიეთო და ზედ ერთი სტაქანი თბილი ჩაი დააყოლეთო». ამ გვარ მიღებით ზოგს გულიც აერევა და პირიდგან საქმებას აუტეხს, ეს სრულებით სასურველი არ არის და შეიძლება ავნოს კიდეც. № 12, შუშხუნა პარაშოკების მომზადება ასე უნდა: 40 გრანი სოდა უნდა აიღოთ და 36 გრანი ღვინის მარილის მჟავა, რომელსაც ხალხი “ლიმონი კისლატას“ ეძახის. „კიდობნის“ ავტორი-კი ამისთანა უბრალო საგანშიაც გამოცდილი არ ყოფილა და ასე გვირჩევს: სოდა 30 გრანი და „კისლატა“ 20 გრანი ან 40 გრანიო. № 14-ში) მოყვანილი ოყნა საფაღარათო-კი არ არი, უფრო გამოსაფხიზლებლად ხმარობენ. საზოგადოდ ძმრის ოყნას იშვიათად ხმარობენ, როდესაც კაცი ან წვეთით ან რაიმე მიზეზით უგონოდ დაეცემა—ძმრის ოყნა გონს მოიყვანს და გამოაფხიზლებს,—თორემ როგორც ავტორი ურჩევს ბრალიან და უბრალოს რო ძმრის ოყნა უკეთონ, ეგ სად წავა,—მავნებელიც არის.

№ 21 სიაში „პიტნის ქუჩუჩი (თაველი)“ ჩვენ ვერ გავიგეთ რა არის და ვერც იმას მივხვდით „იხმარება ბუზუკის დასამწიფებლადაო“ დავიჯეროთ მუწუკს იმერეთში ბუზუკი ჰქვიან? ამასთანავე ტყუილად ჰგონია ავტორს, რომ მის მიერ მოყვანილ მცენარეთა შეკრებილება აფთიაქებში მზად არის—ჩვენს ფარმაკოპეებში მაგისთანა კრებული არ სუფევს.

სია 22, არ ვიცით, საიდგან ამოუწერია ავტორს მაგისთანა რეცეფტი—ჩვენს აფთიაქებში მაგისთანა „ნერვნი სბორი“ არა გვაქვს.

მე-23 სიაში ჩვენი „კიდობნის“ მეცნიერი ამბობს: ბერთოლეს მარილი (бертолетова соль) კირ-მარილა არისო!!!... ეს-კი მეტის-მეტია. აი ამისთანა უმეცარი კაცი საცოდავად ჯიჯგნის წმიდათა-წმიდა მეცნიერებას და გულშემატკივრად ევლინება ჩვენს ხალხს. —ამასთანავე, საცა უნდა პირში გუბება (სია 29) იქ ავტორი ამბობს ხახა ივლეთო და სადაც მართლად და ხახა უნდა ივლონ იქ ურჩევს პირში „იგუბოს“-ო. —სია 24) хинная кора განა ხინის კანია? სია 26) трава корицы განა მიხაკის ფოთოლია? სია 27) английская соль განა ანგლიის მარილია? სია 28) корень фялки (უნდა იყოს фіалки), ეს შეიძლება კორექტურული შეცდომაც იყოს, მაგრამ რათა გგონიათ, ბ-ნო „კიდობნის“ მეცნიერო, რომ фіалковый корень იაის ძირია ე, ი. იასი, უთუოდ იმიტომ რომ რუსულად Фіалка ეწოდება! სია 29) ხახაში რო ივლოს, კბილებს რას არგებს? სია 30 და სია 17 ერთი და იგივე შინაარსისაა,—სია 31) «მოვნებული სხეული“ სადაური ქართულია? სია 34) ნუში ერთი უნციც ბევრია, არამც თუ ორი უნციო ერთი მისხალი ნუშირვა მისხალ წყალზედ უნდა აიღოთ. სია 35 სრულებით საჭირო არ არის შაბის სასმელად ხმარება. სია 41) განა деготъ ქართულად ნავთია? ან განა „дегтярная вода“ მაგრე მზადდება? სია 42) განა „настойка катеху“ მაგრე მზადდება? ექვს უნც სპირტზედ ერთი დრახმა-კი არა, ცხრა დრახმაზე მეტი ქაქლინდი უნდა აიღოთ, ამასთანავე “катеху“-ს ქართულად იაპონიის ფისი-კი არა, ქაქლინდი ჰქვიან,—სია44) განა „настойка мирра“ მაგრე კეთდება? კარგი რამეც გამოვა, თუ ექვს უნც სპირტს, ერთი დრახმა მური-სუნნელი აიღეთ! 1: 5 უნდა. სია 45) თეთრი იოდი კიდე ჰო, მაგრამ, თეთრი იოდის მარილი რაღაა? უკაცრავადკი გახლავართ, ბ-ნო და თქვენი „კიდობანი“, სიმრთელისა-კი არა, სიცრუისა არის. სია 53) ძრჩელ საიმედო წამალია სისხლის შესაწყვეტად, მაგრამ

*) იხ. „ივერია“, № 23.

...ურც „კიდობანის“ ავ- ...раствор полуторо- ...ристаго желѣза)“ უწყლოდ რო იხმაროთ, კანს დასწვამს. ერთი მისხალი ხსენებულ წამლისა ერთ ღვინის სტაქან წყალში მაინც უნდა გახსნათ და ისე იხმაროთ.—იშვიათს შემთხვევაში, როცა პირდაპირ ხმარობენ, მაშინ ბამბას ან ტილოს ნაწეწს ასველებენ, მაგრად გამოწურვენ და ისე ხმარობენ.

(შემდეგი იქნება)

## გასართობი

—

რუსეთის მიტროპოლიტი პლატონი ერთხელ ექვს ცხენიანის ეტლით მივიდა აკადემიის პრეზიდენტ კნეინა დამკოვასთან. ამ შესანიშნავმა ქალმა უთხრა:

— თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობაო, თქვენ ექვსი ცხენი გიბიათ ეტლში, ხოლო ქრისტე-კი ფეხით დადიოდა.

— მართალიაო, უპასუხა მწყემსთ-მთავარმა, ქრისტე ფეხით დადიოდა და უკან მისდევდნენ ცხოვარნი მისნი, მე-კი ექვს-ცხენიანის ეტლითაც ვერ დავწევივარ ჩემ სულიერ შვილთაო.

**

—— გითხრეს, რომ დიუმას იტალიაში ცოლი გარდასცვლიაო? ჰკითხა ერთმა ახალგაზდა ჟურნალისტმა თავისს მეგობარს, ცოლისაგან ძალიან თავ-მობეზრებულს.

— არა, არ გამიგონია, მაგრამ შეიტყე, თუ ღმერთი გრწამს, რომელს ექიმს უწამლია იმისათვის, მინდა ჩემი ცოლიც იქ გავგზავნო სამკურნალოდ.

**

— რა არის ბედნიერება? განა რომ ძნელია ამ საკითხზედ პასუხის მიცემა რამდენისამე სიტყვით. ინგლისელებს-კი ადვილად მოუხერხებიათ ამ სიძნელის გზის ახვევა. ინგლისელები ამბობენ, რომ ბედნიერება გოჭია, რომელსაც კუდზედ ქონი აქვს წასმულიო. ყველანი დასდევენ ამ გოჭს დასაჭერად, კუდში სწვდებიან ხოლმე, მაგრამ ხელი უსხლტებათო.

## გამოსადეგი ცნობა

—

როგორ უნდა ავაცილოთ მარგილს დალპობა: ამისათვის საჭიროა მარგილი გაიჟღინთოს შაბიამნით. ეს საშუალება დაწვრილებით აწერილი აქვს ბ-ნს ბაბოს თავის ტრაქტატებში. ჟურნალ „La vigne Française“-ში ნაჩვენებია სხვათა შორის მარგილების გამოსაყენებლად შემდეგი სხვა საშუალებაც.

ამისათვის საჭიროა გააკეთოთ დუღაბით დაგებული აუზი ანუ ორმო, სიღრმით 11—17 გოჯის და სიგანით რამდენიც საჭირო იქნება, რომ მარგილები მთლად ჩავიდეს ამ ორმოში. გარდი-გარდმო უნდა დაამაგროთ ამ ორმოს ნაპირებზედ მარგილები, რომ შეზავებული შაბიამანი ასველებდეს მარგილს. ორმოს მაგიერად შეიძლება იხმაროთ ბოჩკაც, მხოლოდ მაშინ მარგილები უნდა ჩააყუდოდ ხოლმე. ხმელი, გამომშრალი მარგილები მთლად უნდა დაასველოთ ამ შაბიამანში და ახალი მოჭრილი მარგილები-კი, რომელიც ჯერ გამომშრალი არ არის, შეიძლება ნახევრად ჩაუშვათ შაბიამანში, რადგან ეს წამალი თითონ გაუჯდება მთლად ნოტიო ხეს, გამოჟონავს ბოლომდე, მხოლოდ ამისათვის საჭიროა 2—4 კვირა. მარგილების ასე მოსამზადებლად უნდა მოიღოთ 5%-იანი შაბიამანი, ასე 8 ვედრო წყალზედ 12 გირვანქამდე შაბიამანი და ეს წამალი შიგ წყალში-კი არ უნდა ჩაავდოთ გასახსნელად, არც ორმოში და არც ბოჩკაში, მხოლოდ პატარა პარკით უნდა დაჰკიდოთ წყლის სიახლოვეს ისე-კი რომ წყალი სწვდებოდეს. ასე მომზადებული მარგილები ძვირი ჯდება, მაგრამ ძალიან დიდხანსა სძლებს და ხარჯს ერთი ორად გამოდის პატრონი.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ბ-ნ ბაბოს საკმარისადა სთვლის 1—2% შაბიამანს გაურევლად. ხე მარგილისთვის ახალი მოჭრილი უნდა იყოს, სველი, დახეთქილი და არა დახერხილი. თუ ხე გამომშრალია, მაშინ შაბიამანში წამოდუღება დასჭირდება. თუ რომ მარგილები ზამთარში მოჭრილი ხისაა, გაზაფხულზედ უნდა ჩააწყოთ შაბიამანში, ან ზამთარში, მხოლოდ თბილს სადგომში-კი. მარგილი ძირით უნდა ჩაუშვათ ამ შაბიამანში ნახევარ ადლის სიღრმეზედ რამდენისამე დღით.

გეიზენჰეიმში უცდიათ და ამ ცდას უჩვენებია, რომ რვა წლის განმავლობაში და შვიდი მეათედი მარგილი საერთო რიცხვისა, რომელიც-კი არ ყოფილა ამ წამლით გაჟღინთული, დამპალა. იმ მარგილისა-კი რომელიც შაბიამანში ყოფილიყო, სამასში მხოლოდ ერთი დამპალა. ეხლა, როდესაც ხე-ტყის მასალა ასე ძვირია და თანდათან უფრო ძვირდება, ჩვენ მემამულეთ უნდა დიდი ყურადღება მიაქციონ ამ საშუალებას მარგილების გამოყენებისას.

# დეპეშა

29 იანვარი

**პარიჟი.** ტიმბუქტუს ჯარსა და მკვიდრთ სურსათი დაურიგდათ; მთავრობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეადგინოს მეოთხე ბატალიონი სუდანის მსროლელ ჯარისა. ბონნიემ იკისრა ეს ექსპედიცია, თუმცა მთავრობა ამისი წინააღმდეგი იყო.

**ბერლინი.** ვაჭრებისა და მრეწველების კრებამ, მოწვეულმა თავისის აზრის გამოსათქმელად რუსთ-გერმანიას შორის დასადებ სავაჭრო ხელ-შეკრულობის გამო, მრავალ-რიცხოვანმა კრებამ ვაჭრებისა და მრეწველებისამ ერთ-ხმად აღიარა სარგებლობა ხელ-შეკრულობისა და დაადგინა, ვიშუამდგომლოთ რეიხსტაგის წინაშე დაამტკიცოს ეს შუამდგომელობაო.

დღეს რუსეთის დელეგატების პატივსაცემლად სადილი ჰქონდა გამართული გერმანიის დელეგატს ტილმანს; სადილზედ 17 კაცი დაესწრო; ხვალ რუსეთის დელეგატებსა აქვთ სადილი.

ეს არის ეხლა მოაწერეს ხელი რუსეთ გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობას.

უკვე გამოცხადებული რუსთ-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაწერილია ფრანგულს ენაზედ და შეიცავს სულ 21 მუხლს. ამ ხელ-შეკრულობით, პირობის დამდებ სახელმწიფოებმა სავაჭრო და სამრეწველო საქმეებში ისეთივე უფლებანი უნდა მიანიჭონ მეორე სახელმწიფოს ქვეშევრდომთ, როგორც საკუთარ ქვეშევრდომთა აქვთ მინიჭებული, როგორც კერძო უფლების შესახებ, ისეც სასამართლოსა და ადმინისტრაციის წინაშე, თუ უცხო ქვეყნელთა ქვეშევრდომთა უფლების შემლუზღველი კანონი არა არსებობს-რა; საურთიერთო სავაჭრო დამოკიდებულება არ უნდა შებორკილდეს საქონლის შემოტან-გატანის აღკრძალვით, თუ ეს საქონელი ხაზინის მონოპოლიას არ შეადგენს და ან სასანიტარო მოსაზრებით არ არის გამოწვეული აღკრძალვა რომელისამე საქონლის შემოტანისა. ხელ-შეკრულობა ათის წლის ვადით არის დადებული და შეიძლება დაირღვეს, თუ სურვილი დარღვევისა თორმეტის თვით ადრე იქმნა განცხადებული. ხელშეკრულობა ძალაში შევა 1894 წლის 20 მარტიდგან.

30 იანვარი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საპჭოს წინაშე განსახილველად არის წარდგენილი: საპასპორტო სისტემაში შემოსაღებ ცვლილებისა საქმე, იმის შესახებ რომ შეცვლილ იქმნას წესები იმპერიის შორეულს ადგილების უწყებაში სამსახურის განსაკუთრებულ უპირატესობათა მონიჭებისა, და იმის გამო, რომ დააარსდეს საპენსიო კასსა რკინის გზებზედ მოსამსახურეებისათვის.

ჩქარა იქნება განხილული იმის პროექტი, რომ ნავთზედ ნარევ ნივთიერებაზედ აქციზი იყოს შემოღებული.

**კრონშტადტი.** სამხედრო ზღვათა სასამართლომ განიხილა საქმე ხომალდის „რუსალკას“ დაღუპვის შესახებ და დღეს, დილის 7 საათზედ, შემდეგი განაჩენი დაადგინა: კონტრ-ადმირალს ბურაჩკას შენიშვნა გამოეცხადოს, ხოლო ნავ „ტუჩას“ უფროსს, კაპიტანს დუშკოვს ნება აღარ მიეცეს სამხედრო ხომალდზედ სამსახურისა.

**ბერლინი.** სადამოქნო კონფერენციის რუსეთის დელეგატნი დღეს საღამოს მიდიან პეტერბურგს.

**პარიჟი.** დღეს საღამოს ბარონ სუბეირანს, რომელმაც 34 მილიონი გაჰფლანგა, და უძრავ ქონებათა საზოგადოების დირექტორს დოკლერკს სასამართლოს გამომძიებელმა ჩვენება ჩამოართვა და მაზასის საპატიმროში იქმნენ გაგზავნილნი.

პეტერბურგის ბირჟა, 25 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 147 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 225¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

ველოსიპედის მსურველთა საყურადღებოდ!

ვყიდი

**163 მანეთად** ინგლისურ ველოსიპედებს

პნევმატიურ შინებით „Dunlop“ 1893/94 წ.—გთხოვთ მოითხოვოთ კატალოგები.

ვ. გ. რიაბოვი.

Н. Новгородъ Сустинская.

(5—3)

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—155)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |


Доз. ценз. Тифлисъ, 31-го Января 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე